

ფაქტობრივი

დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულ პირს, რომელიც გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით ყოველთვიურად იღებდა 15 000 ლარს, დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

ვარიანტი I
პირი დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად და გააგრძელა იმავე ოდენობით (15000 ლარი) კომპენსაციის მიღება. პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული არ ჰქონდა დღგ-ის საკითხი.

ვარიანტი II
პირმა გააგრძელა საქმიანობა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე და იმავე ოდენობით (15000 ლარი) კომპენსაციის მიღება. პირს ხელშეკრულებით არ ჰქონდა განსაზღვრული დღგ-ის საკითხი. საგადასახადო ორგანომ გამოავლინა აღნიშნული ფაქტი.

შეფასება

სსკ-ის 157-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი თანხა აღემატება 100 000 ლარს, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

I ვარიანტში:
პირის ქმედება მართლზომიერია. იმის გათვალისწინებით რომ ხელშეკრულებაში დღგ-ის საკითხი განსაზღვრული არ არის, იგულისხმება რომ, კომპენსაციის თანხა (15000 ლარი) მოიცავს დღგ-ს.
დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა უნდა განისაზღვროს 15000 ლარის ოდენობით (15000X 15,25% დღგ შეადგენს 2288 ლარს).

II ვარიანტში:
პირის მიერ დარღვეულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის წესი. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა უნდა განისაზღვროს 15000 ლარის ოდენობით, საკომპენსაციო თანხა მოიცავს დღგ-ს(15000X 15,25% დღგ შეადგენს 2288 ლარს).

ღონისძიებები

I ვარიანტში:
პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარვევა არ იკვეთება.

II ვარიანტში:
საგადასახადო ორგანო მოახდენს პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას. პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.